ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **ინტერკულტურული კვლევები ძველ და შუა საუკუნეების ისტორიაში / Intercultural Studies in the Ancient & Medieval History**

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **სრული პროფესორი ეკა ავალიანი, სრული პროფესორი ვაჟა კიკნაძე**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ისტორიის მაგისტრი / Master of Arts in History

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: ოთხი სემესტრი (120 კრედიტი) . სამაგისტრო პროგრამაში 120 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 90 კრედიტი სასწავლო კომპონენტი, მათ შორის:
  60 კრედიტი - პროგრამის სავალდებულო დისციპლინები;
  30 კრედიტი - არჩევითი დისციპლინები, საერთო საგნები სხვა პროგრამებთან.
- 30 კრედიტი - კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა);

სწავლების ენა: ქართული ენა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:
წინამდებარე სამაგისტრო პროგრამა მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ეს არის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ინტერკულტურულ კვლევებს კონკრეტული რეგიონების ფარგლებში და მოიცავს ისტორიის ორ ფართო ქრონოლოგიური პერიოდს, ძველ და შუა საუკუნეების ხანებს. პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ კვლევებს, ასევე ითვალისწინებს ამ საზოგადოებების კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგიურ მიდგომებს, ემპირიული მაგალითების (Case Studies)საფუძველზე, ახდენს ისტორიული პრობლემების/პროცესების მოდელირებას. მითითებული ქრონოლოგიური პერიოდის ფარგლებში სტუდენტმა უნდა გაიაზროს ისტორიის კარდინალური თეორიული საკითხები და პრობლემები ინტერკულტურულ კვლევების ჭრილში; თავი მოუყაროს ემპირიულ მასალას, მოახდინოს მათი კლასიფიცირება, განზოგადება, შეპირისპირება და კულტურული მემკვიდრეობითობის ანალიზი; სტუდენტმა უნდა შეისწავლოს ძველი და შუა საუკუნეების საზოგადოებების ტიპოლოგიის და გენეზისის პრობლემები, დაეუფლოს პრობლემის ანალიზის ხერხებსა და მიდგომებს. გაიაზროს საზოგადოებების მოდელირების ინტერდისციპლინური ხასიათი. პროგრამის მიზანია მოამზადოს ფართო დიაპაზონის მკვლევარი და პრაქტიკოსი, რომელიც დაეუფლება ფუნდამენტურ ცოდნას ისტორიის ერთიან ონტოლოგიურ ქარგაში: კერძოდ კი, ძველი და შუა საუკუნეების საზოგადოების კვლევის პროცესში, სტუდენტს ექნება შესაძლებლობა გაეცნოს დასავლურ, აღმოსავლურ და კავკასიურ (ქართული კულტურის მაგალითზე) კულტურების განვითარების დიაქრონულ და სინქრონულ პროცესებს, რეგიონალური და პერიფერიული თავისებურებების წარმოდგენით; პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კურსები, ასევე სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას გაიფართოვოს თეორიული თვალსაწიერი,

განავითაროს და დახვეწოს ინტერპრეტაციის და ანალიზის უნარი.შეიძინოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები და სტრატეგია.

შესაბამისად, პროგრამაში ჩართული არიან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (ისტორიის მიმართულება, აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულება, კულტურის მეცნიერებები და სხვ.) სხვადასხვა მიმართულების წამყვანი პროფესორები მათი კურსებითა და პროგრამებით. ეს გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში საზოგადოებების ინტერკულტურული კვლევების ინტერდისციპლინარულ ხასიათს.

პროგრამა ამზადებს სტუდენტს შემდგომი კვლევებისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. სტუდენტი უნდა ჩამოყალიბდეს პრაქტიკოსად და ანალიტიკოსად ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის ინტერკულტურულ კვლევებში.

პროგრამა განკუთვნილია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ისტორიის საკითხების ონტოლოგიური და ეპისტემოლოგიური კვლევებით, ამ ცოდნის გამოყენებით კონკრეტული ისტორიული საზოგადოების კვლევაში და აგრეთვე, პრაქტიკულ საქმიანობაში.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ინტერკულტურული კვლევები ძველ და შუა საუკუნეების ისტორიაში** სამაგისტრო პროგრამა, მის ხელთ არსებული აკადემიური რესურსით, მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა, მაგისტრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, უზრუნველყოს კურსდამთავრებულისთვის როგორც სპეციალობის, ასევე მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. პროგრამის ხასიათიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულებს აქვთ სხვადასხვა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების პროფილით სწავლის გაგრძელების პერსპექტივა.

პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ჰქონდეს საბაკალავრო ხარისხი სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მათ დარგებსა და ქვედარგებში; ან ჰქონდეს საბაკალავრო ხარისხი მიმართულებათშორის დარგებში: კულტურის კვლევები, რეგიონმცოდნეობა.

- ერთიანი სამაგისტრო გამოცდები;
- წერითი გამოცდა სპეციალობაში (ძვ. მსოფლიოს და შუა საუკუნეების ისტორია);
- პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა უცხოური ენის (ინგლისური/ გერმანული/ფრანგული) B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება: თეორიული მიდგომების გაცნობიერების, სასწავლო კურსების გავლის საფუძველზე, მაგისტრი ფლობს თანამედროვე მეცნიერული კვლევის მეთოდებს და მეთოდოლოგიურ მიდგომებს.ფლობს ცოდნას ძველი და შუა საუკუნეების საზოგადოებების კვლევების მიმართულებით. შესწევს უნარი გააცნობიეროს დიაქრონულ ჩარჩოებში მოქცეული ორი დიდი ქრონოლოგიური პერიოდის აქტუალური პრობლემები აღმოსავლური, დასავლური და ქართული საზოგადოებების მაგალითებზე; შეუძლია ძველი და შუა საუკუნეების საზოგადოებების ინტერკულტურული კავშირების დადგენა და ნაწილობრივ, კომპარატივისტული კვლევა. იცნობს ძირითად მეცნიერულ ტენდენციებს, ონტოლოგიურ და ეპისტემოლოგიურ ჭრილში განიხილავს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის პრობლემატიკას. მიღებულ ცოდნას იყენებს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულ, ისტორიის მაგისტრს შეუძლია: ემპირიული მასალის სიტემატიზაცია, ანალიზი და ინტერპრეტაცია; საკვლევი პრობლემის მკაფიოდ წამოწევა, იდენტიფიცირება, კონტექსტუალიზაცია და ისტორიული პარალელების ძიება.აპრობირებული კვლევის მეთოდების და მიდგომების განსაზღვრა და დასაბუთებული მორგება. ემპირიული მასალების მოძიება და სისტემაში მოქცევა; ქრონოლოგიური და თემატური კავშირების კორელაციაში მოყვანა; კვლევის შედეგების პრეზენტაცია, წერილობითი და ზეპირი ფორმით. მაგისტრი ფლობს კონკრეტულ და დეტალურ ცოდნას ისტორიის ორი ქრონოლოგიური პერიოდის (ძველი და შუა საუკუნეების) ქარგაში. შეუძლია:გამოყოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო პრობლემები, დაინახოს და დაადგინოს ანალოგიები და განსხვავებები კულტურულ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ მახასიათებლებში, განაზოგადოს და მოახდინოს ამ ეპოქებში მიმდინარე პროცესების/მოვლენების გაცნობა და რეინტერპრეტაცია.

დასკვნის უნარი: სამაგისტრო პროგრამის კურსსდამთავრებულ, ისტორიის მაგისტრს შეუძლია მისთვის საინტერესო პრობლემის გარშემო ძველი და შუა საუკუნეების ისტორიაში საჭირო მასალების სინთეზირება, განმარტება, და შესაბამისი ანალიტიკური დასკვნის გამოტანა; ამ ცოდნის განზოგადება და მისი შემოქმედებითად დაკავშირება ანალოგიურ პროცესებთან და მოვლენებთან. რთული და არასრული ინფორმაციის შემთხვევაშიც მაგისტრს შეუძლია ინტერდისციპლინარული გამოცდილების საფუძველზე მეცნიერულად დასაბუთებული და არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა.

კომუნიკაციის უნარი: სამაგისტრო პროგრამის კურსსდამთავრებულ, ისტორიის მაგისტრს შეუძლია ეფექტური აკადემიური კომუნიკაცია ეროვნულ და დასავლურ სამეცნიერო წრეებში, რისთვისაც გააჩნია ევროპული ენის სათანადო კომუნიკაციური უნარ -ჩვევები; შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება, ეფექტური ურთიერთობა სასწავლო თუ სამუშაო ჯგუფში. სემინარული მუშაობა და პრეზენტაციები მაგისტრს უყალიბებს: მიღებული ცოდნის დასაბუთებულ წარმოჩენის და სამეცნიერო დისკუსიაში ჩაბმის უნარს.

სწავლის უნარი: სამაგისტრო პროგრამის კურსსდამთავრებულ მაგისტრს შეუძლია ძველი და შუა საუკუნეების სივრცეში მოქცეული ინტერკულტურული პრობლემატიკის გაცნობიერება, დამახსოვრება და სწავლა; სწავლისა და კვლევის პროცესის თანამიმდევრულად წარმართვა და დაგეგმვა: უახლესი ლიტერატურის გაცნობა, ამ მასალის სწავლისა და კვლევის პროცესში აქტიური გამოყენება. მაგისტრანტს შეუძლია განსაზღვროს მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის პროცესის თავისებურება და დაგეგმოს სწავლის პროცესი.

ღირებულებები: პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში წამოჭრილი ისტორიული პრობლემატიკა და თემატიკა (განვითარებული ქალაქური ცხოვრება, სახელმწიფოს წარმოქმნის მნიშვნელობა და აუცილებლობა, კულტურების გენეზისის საკითხები, კულტურების შეხვედრები, თანაარსებობა და კონფლიქტები, მოსახლეობის მიგრაციები და სხვ.) აქტუალურია თავისი ღირებულებათა სისტემით ისტორიის განვითარების ნებისმიერი პერიოდისთვის.

ეს ისტორიული მაგალითები და გამოცდილება არ ექვემდებარება დროით განზომილებას და უნივერსალურია ყველა პერიოდისათვის. თანამედროვე დასავლურ ისტორიულ მეცნიერებაში აქტუალურია ისტორიის არა ფაქტობრივი სახით გააზრება, არამედ პრობლემაზე და თემატიკაზე ორიენტირებული ისტორიის რეკონსტრუქცია, რაც შესაძლებლობას გვაძლევს გავიაზროთ ისტორიის, როგორც ჰუმანიტარული დარგის, მულტიდისციპლინური ხასიათი და განვაზოგადოთ ისტორიული პრობლემები.ისტორიის მაგისტრი ორიენტირებული უნდა იყოს საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტებზე და ეთიკის ნორმებზე, გაიზიაროს და გაეცნოს დასავლეთის აკადემიურ გამოცდილებას, მოახდინოს ამ სამეცნიერო მიდგომების და ღირებულებების აკუმულირება, გაზიარება და დანერგვა მშობლიურ გარემოში. მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღებად პროგრამა ლექციის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, ესეს, სამაგისტრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და ინტერაქტიური სალექციო ფორმატის ფარგლებში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი,წიგნზე მუშაობის მეთოდი, ანალიზი, სინთეზი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება, სულ მცირე, ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დასაქმების სფეროები: მას შემდეგ რაც მაგისტრი წარმატებით დაასრულებს სამაგისტრო პროგრამას მას შუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე.
მაგისტრის ხარისხის მქონეს შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს: კულტურისა და ისტორიის პრობლემებით დაინტერესებულ სტრუქტურებში, სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებში; სამეცნიერო ინსტიტუტებში, მუზეუმებში, ბიბილოთეკებში, არქივებში, არქეოლოგიურ ექსპედიციებში, საგანმანათლებო დაწესებულებებში.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:
ეკა ავალიანი,სრული პროფესორი,ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
ვაჟა კიკნაძე, სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
მაია ღამბაშიძე, ასოცირებული პროფესორი,ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ისტორიის მიმართულების ბაზაზე** (ძველი მსოფლიოს ისტორიის მიმართულების კაბინეტი თსუ-ს VIII კორ. ოთ. 117). პროგრამის სასწავლო და კვლევითი მიზნების განხორციელებას ემსახურება:
ამერიკულ-ქართული ბიბლიური კვლევის და არქეოლოგიის ცენტრი (AGIBAS) თავისი ტექნიკური აღჭურვილობით და ბიბილოთეკა, თსუ-ს ბაზაზე.
საერთაშორისო ორგანიზაცია: ”ასირიოლოგიის, ბიბლიური კვლევებისა და კავკასიოლოგების ასოციაცია”, თსუ-ს ბაზაზე.
ასირიოლოგიის განყოფილება, თავისი ტექნიკური აღჭურვილობით და აკად. გრიგოლ გიორგაძის სახელობის ბიბილოთეკის ფონდი, თსუ-ს ბაზაზე). კაბინეტები აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მეთოდების, უახლესი სახელმძღვანელოების გამოყენებით სწავლებას და, შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევას.
ინტერკულტურული კვლევები ძველ და შუა საუკუნეების ისტორიაში სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; ასევე დარგის თემატური ბიბლიოთეკა; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები.

ინფორმაცია პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ინტერკულტურული კვლევები ძველ და შუა საუკუნეების ისტორიაში** სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.